



საქართველოს მთავრობის განკარგულება

№598 2018 წლის 15 მარტი ქ. თბილისი

უსაფრთხოების უზრუნველყოფის გადაუდებელი ღონისძიების გატარების მიზნით, საქართველოს ტერიტორიაზე თურქეთის რესპუბლიკიდან ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის იმპორტის დროებით აკრძალვის თაობაზე

„ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №429 დადგენილებით დამტკიცებული ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის მე-17 მუხლის შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე საკარანტინო მავნე ორგანიზმის – კარტოფილის კიბოს თავისუფალ ტერიტორიებზე გავრცელების თავიდან ასაცილებლად, უსაფრთხოების უზრუნველყოფის გადაუდებელი ღონისძიებების გატარების მიზნით, აიკრძალოს თურქეთის რესპუბლიკიდან საქართველოში კარტოფილის იმპორტი კარტოფილის თესვის პერიოდში – 2018 წლის პირველ ივნისამდე.

პრემიერ-მინისტრი



გიორგი კვიციანი